


გაზეთის ფასი

გაზეთი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Въ Типлетъ, въ редакцію газеты „ДРОБНА“.



სელის-მოწევა
თფილისში: გაზეთის „დრობა“ — კაპიტალში
ჭუთასში: ანტ. ლორთქიანიძის ბიბლიოთეკაში.
გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Типлетъ, въ контору газеты „ДРОБНА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიანოვის სასტუმროში. მანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მედანზე, შაურივის სასტუმროში.

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

საქართველო: მამამზოვის ქარვასლის დაწესება — წერილი ამბები. — „დრობის“ კორექტივები: მუხრანამ, — სენთილამ. — რუსეთი: წერილი ამბები. — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი, — მსპანია, — ინგლისი. — ამერიკის შტატები. — სამართალი: ბრანსკისა და იაბლოკინის საქმე, — „პაეკის“ რედაქტორის და იმის თანამშრომლის საქმე. — საქართველოს ცხოვრების დღეები: მამაცი ახალციხელი შალვა და მანა. — წარვეთი. — მანკაღებანი.
შეკრები: სხელი-სხელი ამბები — აკისა.

ვისაც წარმადელი, ან უარმადელი გაზეთის ფასი აქამდის არ უამოუბანია, მთხრომთ გამოგზავნონ რამაძინის კანტორაში.

საქართველო

თამაგზოვის მარხვლის დაწვა

ბი სავანი, რომელზედაც ეხლა მთელი მალაქი ლაპარაკობს! მისაც არ შეეხებდებოდა, გინდათ თუ არა, უთუოდ რამდენსამე ახალს ან ძველ ამბავს და გარემოებას გიანობთ ამ ცეცხლის თაობაზე. მთელი მალაქის ეჭრობა გაფაციცებულა, ყველა რაღაც არაჩვეულებრივ მოძრაობაში და ფაცა-ფუცშია, ყველას რაღაც საქმე გასჩენია, ყველას თითქო რაღაც აწუხებს და აფიქრებს.

ამას რუსული წარმოდგენებისა და იტალიური ოპერების მოყვარეთა დარდი და მღვდელმთავრები რომ დაუმტკობთ, გაიგებთ — თუ რა სურათს უნდა წარმოადგენდეს ეხლა ჩვენი ქალაქი...

შინ მონათლის იმ ხმებს, რომელიც დადის ქალაქში თუ განგებ ცეცხლის წაქიდებისა და თუ იმ ზიანის თაობაზე, რომელიც თფილისის ეპარქიას მიეცა ამ ცეცხლის გამოისათ? მაგრამ ჯერ ჩვენ იმაზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა, რაც ბევრთად ვიცით.

ბევრითი და ნამდვილი ეს არის, რომ წა-

სულ პარასკევს, საღამოს შვიდ საათზე, ქარვასლის მეორე ეტაჟის ფანჯარაში პატარა ცეცხლი გამოჩნდა. ეს ფანჯარა იმ მალაზიის პირდაპირ იყო, რომელიც ეჭარის ნიკოლოზოვს ეჭირა. რამდენთამე გამეღელთა შენიშნეს ცეცხლი და თეატრში შეცვივდნენ, რომ შეეტყობინებიათ. (ამ საღამოს იტალიური ოპერის „ნორმოს“ წარმოდგენა უნდა ყოფილიყო.)

ნახევარ საათზე მეტმა განვლო. ცეცხლმა რამდენიმე ფანჯრიდან გამოჰქცია ელვარე თვალები. მალაქში მსწრაფლად გავარდა ხმა: „მამამზოვის ქარვასლას და თეატრს ცეცხლი ეკიდებოდა.“ ხალხის გროვა თანდათან მატულობს მარენის მიდანზედ, პოლიციის წინ; ეჭრები, ამ მეორე ეტაჟის მალაზიების პატრონები შესულილივით გამოჰყავდნენ დრო-გამოშვებით თავს ფანჯრებიდან და გამწარებით ჰყვირიან; „პოლიციამ! პაქარნი კამანდა! შეიშველეთ, გვიშველეთ! მიღუბებით! ცეცხლის საქრობი მაშინაო!“

სხრის ნახევარი იქნებოდა, როდესაც ჩვენ პირველად მივედით ქარვასლასთან. ამ დროს ყველა იმ ფანჯრებიდან, რომელიც პოლიციის შეპყურებს, ცეცხლის ალი ბოლქვით მოდიოდა და ისე მგრათ მოჰქიდებოდა შენობას, რომ იმის დაცვა ძნელად მოხერხდებოდა. ცეცხლის საქრობი მაშინა მოტანილი იყო. შანგარიშო ხალხს მოეფინა სრულიდ მარენის მანდანი. იყო ერთი ჩიჩქოლი, ყვირილი, მოძრაობა. ორი ცეცხლის საქრობი მაშინა საქყაუნდებლსავით ასხამდა წყალს გაზვიადებულს ცეცხლსა, მაგრამ, თითქო სპილას ბუზი, ისე ვერას აკლდებდა.

ათ საათზე მთელი შუაგული შენობისა, ე. ი. თეატრი ცეცხლის პირში იყო. აღმა სათავიდან ამოხეთქა. შუალამზე ცეცხლი თითქმის მთელს შენობას ჰქონდა მოღუბული.

ცეცხლმა მთავრის სინათლე დაჩრდილა, სოლოლაკის მთა გაჩაღებული იყო.

მეორე დილას ცეცხლი კიდევ ეკიდა. მართი სიტყვით, რაც ხის რამე იყო შენობის მეორე და მესამე ეტაჟში, და აგრეთვე თეატრი, სრულიად დაიწვა.

ამობენ, ეხლა გამოძიება არის დანიშნული; ამობენ, ცეცხლი შემთხვევით არ გაჩენილა, ეიღამაც განგებ წაუყიდა თავის ღუქანსაო; ამობენ, რამდენიმე კაცა დაჭერილია. ბევრითი კი ჯერ-ჯერობით კაცა არა იცის რა. გამოძიებამ იქნება ბევრი რამ აღმოჩინოს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი რამ არის, რომელიც უკამოძიებოთაც ცხადია, რომელსაც გამოკვლევა არ სჭირია და რომელიც, ამ ცეცხლის დროს, ნათლად აღმოჩნდა.

მსარის ის, რომ ყველა საშუალება ვერ იხმარეს, რომ ცეცხლს რიგიანი წინაღმდეგობა ვერ გაუწიეს, რადგანაც როგორც ამობენ, კამანდას არ აქვს საქმოა ღონისძიება, რომ ამ გეარ შემთხვევაში სრული შემწეობა მოიხმაროს.

თუ სხვაგან თფილისზე ბევრად უფრო ღარიბ ქალაქებს ჩინებულად გაწყობილი ცეცხლის საქრობი მაშინები აქვს, მაგონია, ჩვენშიაც მოხერხდებოდა. თუ სხვაგან ქალაქის მოთავე პირები ამას აქცევენ ყურადღებას, ჩვენშიაც შეიძლებოდა. თუ სხვაგან ახერხებენ ცეცხლის წინაღმდეგობას, ჩვენშიაც შეიძლებოდა.

მამამზოვის ქარვასლის დაწვა კერძო, თითქმის წერილობით საქმეა; მაგრამ ამ კერძო და პატარა საქმეშია ცხადთ სხანს ის ნაკლებეფანება, საზოგადო დაუდევრობა და სენი, რომელიც მთელს საზოგადოებას აწუხებს, რომელიც ყველას შეეხება...

ს მესხი.

ამობენ, საზოგადო ზიანი მამამზოვის ქარვასლის დაწვისგან 600,000 მანეთამდის აღისო; თვითონ შენობა 300,000 მანეთად ყოფილა „საზღვეველ საზოგადოებაში“ შე-

ფელტონი

სხელ-სხელი ამბები

შინ სთქვა, რომ ჩვენში საზოგადო არა არის რაო, მაშინ როდესაც რაც ერთზედ ითქმის, რასაკვირველია აუფობით, ის ათში ცხრასაც ეკუთვნის!

საკვირველი ქალია ეს კნენა, რომელსაც ჩვენ დაეარქვით ქეარკვალიტა: მის მხანველს არ შეუძლია, როცა მას უტყვირებს, რომ სხვა საგანაც არ წარმოედგინოს მის მისამგავსებლად: ეს ჩინებული კნენა ზოგს თხუთმეტი დღის მთვარედ ეჩვენება, ზოგს ცისკრის ვარსკვლავად, ზოგს ვარდის კოკრად, ზოგს სულის მტრედად და ზოგს გულის იადონად.

შე კი ტყუილს არ მოგახსენებო, რომ, რამდენჯერაც უნდა ენახო, ყოველთვის ღლაფი მომაგონდება ხოლმე. — მგებ ბევრმა არ იცოდეს, თუ რა არის ღლაფი? იმე-

რულათ ღლაფი და ქართულად ღლაფი ეწოდება მისთანა ერთგვარ-თევზს, რომელიც უხმოთ პირს ძალიან ადებს, თავი მსხვილი აქვს და უვარგი, ფაშვი დიდი აქვს, მაგრამ ზედ მობშული კუდი კი მარჯვეთ საქნევი და გემრიელი.

ბაუგვრალოთ ვსაც უნდა ჰგვანდეს კნენა ქეარკვალიტა, ჩვენთვის სულ ერთია; ჩვენ მხოლოდ მისი შინაგანი, დაფარული, ღირსება გავსინჯოთ!

ღიდის მოწიწებით ინახავს მარხვას... წირვა-ლოცვას არ აკლდება და ისეთის ყურადღებითაც ისმენს, რომ არათუ მღვდელის სიტყვები, ერის წაჩურჩულებას არ გამოგვარება ხოლმე იმ წირვის დროს. სანამ შუაწირვა დაიწყებოდეს, იმან სულ იცის, ვის რა ფერი ტანისამოსი აცვია და როგორ არის შეკერილი.

ქართული ნახევარი დაიწყებია; რუსული ნახევარზედ მეტი ვერ მოუხწრია, მაგრამ ამითი არა წაუგია რა; რუსებს ჰგონიათ, თუ

ქართული ძალიან იციო და რუსული რომ კარგად არ იცოდეს, რა გასაკვირალია; და აგრევე ქართველებს ჰგონია, თუ რუსული ზედმიწევნით იცის და ქართული რომ კარგი არ იცოდეს, რა უყოთო!

საკვირველი მიხზლური ქალიც არის: რომ რამეს გაიგონებს, დაუდებს ყურს. მერე გასინჯავს ნათქვას და იტყვის, ისე კი არ უნდა ყოფილიყო ის საქმე, სწორეთ ასე იქნებოდა, და გადააკეთებს ხოლმე ისე, როგორც მას ჰგონია.

ზარმაცი არ გეგონოსთ. შეიღებს ვერ ზდის ხოლმე, თორემ სხვას ყველაფერს ძალიან ზდის. შინჭეველს ოდენ ამბავს ერთს დღეს აქლემის ოდენათ გადააკცევს ხოლმე. — მაასუქებს ხოლმე. და ან კი როგორ არ გაასუქოს, რამ ჩვენში საბალახეები კარგია ამ გვარი პირუტყვებისათვის...

მართის სიტყვით, კნენა ქეარკვალიტას ყოველივე ღირსების, კალმით კი არა, კეტი-თაც ვერ აწერს კაცი, რომ უნდაოდ.

ტანილი. თეატრი სრულიად დაიწვა ასე, რომ იმის შეკეთება შეუძლებელია. ღეკორაციები ზოგი გადაარჩინეს. ძალ-ტიუმები (სათეატრო ტანისამოსი) სულ დაიწვა, გადაარჩა შორლოთ „ნორმის“ ოპერაში სათამაშო ტანთსაცმელი, რომელიც იმ საღამოს ეცვათ; მოთამაშეები ამ ტანისამოსში გამოცვივდნენ გარეთ და ბევრს აკვირებდა ის გარემოება, რომ შუალამზედ თფილისის ქუჩებში რომის სალათები და პატრები დარბოდნენ... შევლამე მოამეტებულად სამ ეჭარს უზარაღნი: პლელოვს, შხიზოვს და კიდევ ვიღაც ერბოს, რომელთაც, როგორც ამობენ, უკანასკნელი ასი, ას-ორმოც-და-ათი ათასის ზიანი მისცემია. პლელოვი დამჯდარა თავის ცეცხლ-უკარებელ რკინის სკიერზე, რომელშიაც მთელი იმის ქონება იყო, და კარში გამოსვლას არ აპირებდა, სანამ სკიერს არ გაიტანდნენ. მაგრამ ძალით გამოუყვანათ. იმის ცეცხლ-უკარებელი სკიერი რომ გამოუტანიათ გარეთ და გაუსხნიათ, უნანათ, რომ რაც რამ ქალაღდები ყოფილა შიგ, სულ დამწვარ-დათუთქულა ასე, რომ კაცი ვერ გამოიცილებდა თურმე: უზრალთა ქალაღდები იყო, ვექსილები თუ ბანკის ბილეთები.

ამობენ, ცეცხლის დროს, ორმოცამდი კაცი და დედა-კაცი დაუჭირავთ, რომელსაც საქონელი მოეტაცნათ და მიჰქონდათო. ამობენ, შეინდისში ერთი საქონლით საესე ფურგუნს დაიჭირესო და ქალაქში ჩ. მოიყვანესო. მართი სიტყვით, ბევრს რასამე ამობენ და ყველასი მოთვლა შეუძლებელია...
* * *

ჩვენ ვაგიგეთ, რომ ძაეკასის მთავარ სამმართველოში ჭუთასის ბანკის პროექტს არ გადახედავენ, პირ-და-პირ აპირებენ პეტერბურღში გაგზავნას.
* * *

თუმცა მიზიეუწი წელს გეარანი მოსაეა-ლი არისო, მაგრამ შარმანწინდელი შომში-ლის დადი, როგორც ამობენ, ეხლაც მთელს
* * *

ამ ქამათ კნენა ძალიან მოწყენილი არის და მწუხარების მოსაქარებლად სულ ამას იმღერას: „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი, ლეილუმ!“ და სხე... შინც კი ყური მოჰკრა ამ სიმღერას, გამეღელი თუ გამომეღელი, ყველა ასე ამბობს: ვაი, რას გადაურეგია ეს ქალბატონი?... როგორც იქნაო, მოგვედა ღმერთმა, ძლიეს მწუხარების და-თვი მოვიშორეთ და ეს კისიხარულის ფრინველათ იგონებს და სწუხსო!...

მაგრამ ხალხვა რაც უნდა სთქვას, ქეარკვალიტა იმას რას დასდევს, როდესაც მას თავის საკუთარი ჰზრი აქვს და საკუთარი გრძნობანი? „ძლიას დარდი ფლაეიოა“, ნათქვამია. ხალხი სხვას ჰფიქრობას და კნენა სულ სხვას; ხალხი ამბობს: „ნეტა რა ჩიტი მოგვიფრინდება? — როგორც მტრედი კილობისა, ზეთის ხილის შტოთი მოგვიფრინდება, იმ წარღნის შემდეგ, გაახლებს ნაშნად, თუ ყვავიეთ მძორებდა, დაუწყებს ძებნას?“ აძლევს ამ კითხვას თავის თავს და გულის

ამ მხარეს აჩნიაო. ზოგიერთი იქაურებისაგან გავიგონეთ, რომ იმ შიმშილობისაგან შევიწროებული ხალხი ერთ შესამდგომეტი გადასახლდა მახლობელ ქვეყნებში, დანარჩენი ცერ-ჯერობით დიდ გაჭირებაში და სიღარიბეში არისო.

პარგა ხანია ჩვენ მიხიცილდამ თითქმის არავითარი ამბავი არ მოგვსვლია და რედაქცია ძალიან დაუძმადლებს, თუ ვინმე ცოტათი მაინც დაწერილობულ ამბავს შეატყობინებს, ხლანდელ იქაურს მდგომარეობაზე და ხალხის ვითარებაზე.

სამურხაყანოდამ გვეწერენ, რომ, თუმცა აღრეც ხშირი ყოფილა იქ ქურდობა და მტაცებლობა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს განსაკუთრებით ამ გვარმა საქმეებმა ერთობ იმატაო. რამდენიმე ავაზაკი შეკრებილან ტყეში გავარდნილან და ერთად ესხმებიან თურმე მცხოვრებლებს. ადგილობრივი მთავრობა ღონისძიებას ხმარობს, მაგრამ ჯერჯერობით ვერა გარჩევა რაო. მანსაკუთრებით სოფ. ბედის მცხოვრებლები არიან თურმე ამ ქურდობისაგან შეწუხებული.

მქუმიდამ (სამურხაყანოში) გვაცნობებენ, რომ ერთს იქაურ შეიღმეტი წლის ახალგაზდა ქალს ამ დღეებში თავი მოუკლავს. მიზეზი თავის-მკვლელობისა, როგორც კორჩესაზღვრები გვეწერს, შემდეგი გარემოება ყოფილა:

რალაცასთვის ეს ქალი თავის ძმას გაულახავს; ქალს უფროსი ძმისთვის განუცხადებია ეს შეურაცხყოფა და იმისაგან მოვლოდა თურმე ნუგეშს.

მაგრამ ამ ძმას ღის ჩივილისათვის ყურადღება არ მიუქცევია. გამოჯავრებული ქალი გასულა ერთ დიდ ხეზე, გადმოვარდნილა იქიდან და ამნაირად თავი მოუკლავს.

მმართველობის მოამბეში“ შემდეგი უმაღლესი ბრძანება დაბეჭდილი: მუთისის სამხედრო გუბერნატორი და სამოქალაქო ნაწილის მმართველი ღენერალ-მაიორი ლევაშოვი, საკუთარი თხოვნისამებრ, შემოსენებული თანამდებობიდან დაითხოვება.

შინანსის სამინისტროში მიღებული ცნობებით სჩანს, როგორც მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებს, რომ ღალესტნის მხარეში ენდროს მოყვანა სრულიად მოუსპიათ.

ჩვენ შეგიტყვია, რომ, არათუ მარტო ღალესტანში, სხვა ქვეყნის ნაწილებშიაც ძალიან შეუმტობებიათ ენდროს მოყვანა, რადგან იმის ალყას ერთი ისეთი საღებავი (ალისზარიხი) იქერს, რომელიც ენდროზე უფრო ათავად ჯდება.

ზოგიერთ აქაურ ვაზეთებში მოლაპრაკება იმაზე, რომ რადგან მარჩიელები, მკობხაეები და ქადაგები ხალხს ატყუებენ, სკარცენო და იმის ჯანმთელობასო ენებნო, ურიგო არ იქნებაო, რომ აქაურმა „ქქიმების საზოგადოებამ“ ხალხისათვის საექიმო წიგნები ან ვაზეთი გამოსცეს ადგილობრვად ენებზე, და გაავრცელოს ხალხში. ამაზე არათუ მარტო ვაზეთებში, თვით „ქქიმების საზოგადოებაშიაც“ ყოფილა მოლაპრაკება.

მინც ჩვენი უბრალო ხალხის მდგომარეობას იცნობს ამ მხრით, ის დარწმუნებული უნდა იყოს, თუ ამ გვარი განზრახვის მალე სისრულეში მოყვანა რამდენათ სანატრელი და აუცილებელია საქროა.

ამ კეთილი განზრახვის უფრო ადვილად შესასრულებელია ჩვენ ერთს საშუალებას უჩვენებთ: „სასოფლო ვაზეთში“ არის ცალკე განყოფილება „სახალხო ექიმობისა“. საზოგადოებას კარგად შეუძლია ისარგებლოს ამ განყოფილებით და ისე წიყყანოს ამ განყოფილების რედაქცია, როგორც იმას უნდა და როგორც მიზნისთვის უფრო გამოსადეგი იქნება.

ამ წლის განმავლობაში, პირველ ოქტომბრამდე, შოთი-მთილისის რკინის გზას აუღია 991, 304 მან; შარშან ამ დროს განმავლობაში 160,774 მან. უფრო ნაკლები უღია. ღღეში საშუალო რიცხვით რკინის გზისაგან 3,860 მანეთი შემოდის, თუ მოგზაურებისა და თუ საქონლის გადატან-გადმოტანით.

მთილისის მოამბეში“ დაბეჭდილია შენიშვნა, რომელიც გვიჩვენებს, რომ შოთი-მთილისის რკინის გზის ქანდაკებები ძალიან უზრდელად ეპყრობიან მოგზაურებს.

მოამბელ ნოემბრის 18-თვის დანიშნულია ჩვენს ქალაქში ამორჩევები ქალაქის გამგეობის დეპუტატებისა.

„დროშის“ კორესპონდენცია

მზურგეთი, ოქტომბრის 4-ს

ამ წლის მაისის 16 მე მომიხდა ყოფნა ქ. მზურგეთს, სადაც შევესწარი ერთ საინტერესო ამბავს, რომელიც, ჩემის აზრით, საზოგადოების ყურადღების ღირსა უნდა იყოს.

ამ რიცხვებში აქ გვესტუმრა მისი მაღალყოვლად უსამღედლოება საქართველო-იქურეთის ეგზარხოსი, რომლის მისაღებათ აქ იყვენენ შეკრებილნი როგორც სამღედლო პირნი, აგრეთვე საერონიც. სხვათა შორის, აქ იყო ერთი ახალგაზდა კაცი, რომელსაც უნდოდა ამ შემთხვევით ესარგებლებინა და მოეხსენებინა ეგზარხოსისათვის ახლანდელი ბურის ეპარხის მდგომარეობა. მს მდგომარეობა ზოგი მხრით სამწუხარო სურათს წარმოგიდგენს. ამის დასამტკიცებელი ორიოდ ისეთ ფაქტს მოვიყვანო, რომლებიც ძალა-უნებურათ გვეჩხრება თვალში არა თუ ბურის ყველა მუდამ მცხოვრებს, არამედ მგზავრებსაც და რომლის დაძალე მანებებლად უნდა მიჩნდეს იმ პირებსაც, რომლებზედაც დამოკიდებულია ეპარხია.

მაგალითათ ავიღოთ ეს, რომზოგჯერ დიაჩიქი, რომელსაც არ შეუძლია 300-400 მანეთი გამოიღოს ქრთამად, ვერ ეკურთხება, რაც კარგი მომზადებული უნდა იყოს მღედლის თანამდებობისათვის; და თუკი გაჰყიდის თავის მცირედ მამულს და იშოვის საკმაო ფულს, მაშინ ის ეკურთხება, ხანდისხან „მამეო-ჩვენოც“ რიგიათ რო არ იცოდეს.

ამას გარდა ავიღოთ მიცვალბულის დამარხვა: საწყალ გლეხ-კაცს მოუკედებოდა თუ არა რომელიმე ნათესავი, რასაკვირველია, მაშინვე, ქრისტიანულის სჯულისამებრ, მოუწოდებდა მღედელსა, რომელიც ხშირად იმის ნაცვლათ, რომ გარდაცვალბულის ჭირისუფალს რაიმე ნუგეში მისცეს და მამობა გაუწიოს, როგორც თხოველობს ნამდვილი მღედლის თანამდებობა, ვაჭრობას იწყებდა ჭირისუფალთან გარდაცვალბულის დამარხვად. წარმოიდგინეთ ესლო იმ გლეხის მდგომარეობა, რომელიც ამ ნაირი მოქმედებებით ორ ცეცხლ შუა არის.

ჯვარის წერაც ზოგჯერ ამ ნაირი ვაჭრობით მიდიდა: მღედელი ეკლესიის კარს არ გაუღებდა დასაქორწინებლად, სინამ ფასზედ არ მოურჩებებოდა.

რასაკვირველია, ამისთანა ამბები წარმოს-

დგება იმისთანა მღედლებისაგან, რომელთაც თავი უკურთხებიან მღედლად და მისი მანეთის დახარჯვის შენდებ-ტრქმლის შეკრებას ამნაირი საშუალებებით აპირებს შემდეგ კურთხევისა.

იმ ახალგაზდა კაცმა, რომელზედაც წინეთ მოგახსენებდით, შეკრობა ყველა ამნაირი ცნობები და ნამდვილი დამამტკიცებელი ფაქტები, რომლებიც წარუდგინა მის მაღალ-ყოვლად უსამღედლოებას იმ იმედით, რომ ის მოახდენს ჯეროვან განკარგულებას და მოსპობს ბურის სამღედლოებაში ამნაირ უწესო მოქმედებას. მაგრამ ნება მომეცით, მოგახსენოთ, რანაირ ბოლოს აძლიევენ ამ ახალგაზდა კაცის განცხადებას: ზოგიერთ სულიერ მამებმა გაიგეს თუ არა, რომ ამ ნაირი განცხადება მიუციაო, მაშინვე რჩევა შეადგინეს, თუ რანაირათ დაუკარგონ ძალა ამ განცხადებას და ბოლოს აი რა ნაირი ხერხი მოიგონეს: განსაკუთრებით ის პირები, რომელთაც ეს საქმე ენებოდათ, მივიდნენ ეგზარხთან და განაცხადეს საჩივარი ამ ახალგაზდა კაცზედ, ვითომც ეს კაცი უღმერთოდებას ქადაგებდეს და ხალხს სასულიერო პირების რწმუნებას უკარავდეს. მაგრამ, რასაკვირველია, ამისთანა ცილია წამებას ეგზარხოსმა ყურადღება არ მიაქცია. ახალგაზდა კაცმა კი მიიღო ეგზარხოსისაგან პასუხათ, რომ ის ამაზედ განკარგულებას მოახდენს. თუმცა იმ განცხადებაზედ ჯერ არაფერი ვიცით მაგრამ იმედია, რომ ამ საქმეს სანატრელი მსგედლობა მიეცემა.

მხლა წარმოიდგინეთ, რას ამბობდენ ის ორიოდვე საერო წოდების პირები, რომლებიც ხშირათ ერევიან საქარხიო საქმეებში: გაუგიათ თუ არა ამნაირი განცხადება, ისინიც საშინლად გაბრაზებულან და ბოლოს ხუთიოდე თავადი და ერთი აზნაური მისულა მის მაღალ-ყოვლად-უსამღედლოებასთან და განუცხადებათ, რომ ის კაცი, რომელმაც განცხადება მიართვა ბურის სამღედლოების უწესოთ ქცევაზედ, სწორეთ უსჯულო არისო, რადგანაც ის ამისთანა საჩივრებს მართავს სასულიერო პირებზედ, და გთხოვთ, რომ მოგვაშორეთ ჩვენი ქვეყნიდანაო...

ბურული. სენათი, 2 ოქტომბრის, წ.რსულს წამთარში აქ მოხდა ერთი საუბედლო საქმე. მუქალის საზოგადოებაში,

კანკალით თვითონვე პასუხს აძლევს: რასაკვირველია, რომ მტრედით,--ორი წარღვნა ერთათ ვის გაუგონიაო.. მაგრამ ცის-სარტყელაც რომ არსად სჩანს? ამ მწუხარე ფიქრებს ჰვანტავს შემდეგის სიმღერით: „არვიინ იცის, რა გამოვა რისაგან!.. თუ რომ ხმები გაიყოფა მტრისაგან და სხე...“

ამავე დროს კენინა ძვარკვალიტა ფიქრობს: „სიძე ყოველთვის მაყრულით მოგეყავს, მაგრამ ვაი, რომ ზარით გასტუმრება გეჭირდება ხოლმეო. ნეტავი ამ ახალ-სიძეს, თუ უყვარს ღლაეი! მაგრამ ან კი რად მანდა! იმას თურმე თავის საკუთარი აუზი აქვს... მაგრამ ესეც უნდა სთქვას კაცმა, შინაური ღლაეი რას მოუშლის გარეულსა? აქ ამ აზრით კენინა ემხში მოდის და იმღერის რალაც იმედიაანის ხმით:

შინაური, გარეული
მითმანეთში არეული
ორივ ერთად მოხერხდება,
თუ კარგია მზარეული.

მეზობლად გაკეზებულს
სჯობს ჩვენი თევზ--ტაბუტინი!
და მამ ბურთიც ჩვენ დაგვრჩება,
თუ შუათ გვექნა... ხელები!

ათავეებს ამ სიმღერას კენინა და ჰყვარის: გოგო! გოგო! ჩქარა სარკე, სარკე მომეცით! იღებს საჩქაროდ ხელში სარკეს, იხედება, მაგრამ უეცრად შემინებული ერთს იკივლებს და ხელიდამ აგდებს სარკეს!... რამ შეაშინა კენინა ძვარკვალიტა?

ნეტავი, რა დაინახა სარკეში? ის რომ ვიდაც მოჩვენებას მისთვის სარკეში ზურგი შემოექცია და ზედ ეს სიტყვები ეწერა: „კენინებო, ძვარკვალიტებო! რადგანაც წარღვნა გათავდა, წყალი დაშრა და ხმელეთი ჩნდება; იქ სადაც ღღემდი თევზები თავისუფლად სცურავენდენ, ღლაეებს ბინა აღარ ექნებათ, მათ ნაცვლად იქ მათს ადგილს ოთხთევზი თვინიერები დაიჭერენ და თქვენთან ნურაფერს უკაცრავათო!.. ზადიქცა ქალბატონი. მეღარ მოაბრუნეს, გლა ისევე გულ-


შემოყრილი; ექიმები თავს ახვევიან, მაჯას უსინჯავენ, და სულ სხვა და სხვა ნაირად ხსნიან მის ავთმყოფობას; ზოგი რას ამბობს და ზოგი რას! --მართი ამბობს, ორსული არისო; მეორე--ახლა აპირობს დაორსულებას და მიტომ ეყრება გულსაო; მესამე ამტკიცებს, თუ სულ დაკარგული აქვს და ორსულების იმედი და მის გამო შემოაწეა სედეაო და სხ. მაგრამ მართალი ვერავისაგან ვაგიგეთ. მკითხავიც მოიყვანეს და ის ასე ამბობს: ეგ, ბატონო, თვალ-ნაკრავიო და თვალ-ნაკრავს შელოცვის მეტი არა უნდა რაო. და შეულოცა შემდეგი სიტყვებით: სულ გვაშვი ჩაუბრუნდი, მულო ჩაგექ ბუღეშო, რომ გადარუნდ--გადმობრუნდეს და მიეცეს ნუგეშიო.

რომ ეს სენი გაგებანს, საპანებლად აუზია! სედა მანვე დაუზიოს,

მინც პირველა...
შვი ძალი, თვთრი ძალი
ორივ ძალზედ უძალესი!
მართი წვა და სხვა მოვა,
სხე არის მათი წესი.

ამ სნელის კარგის თვლით
დაიწყველოს მხახველიო!
რა არის ამის წამალი?
შვი ძალის ნაღველიო.
შვი ძალი, თვთრი ძალი
ორივ ძალი, მამახალი!
სატკივარო, შენს კვრებას
ამ ავთმყოფს ნუ მიახლი!

ამ შელოცვაზედ კენინა ძვარკვალიტამ ცალი ფეხი გაიქნია და შემდეგში რა იქნება, არ ვიცით! მგონია, მკითხავმა არგოს.



რომელიც სძევს თავისუფალ სენათში. სა-
მი კაცი შუალამისას მიადგენ ერთს აზნა-
ურისშვილს. ღვედარიანს; შეეპარნენ სახლ-
ში და ორი კარგი ცხვირი ამოაჩინეს. წამოი-
ყვანეს სახლში, დაჰკლეს და ქეფი გასწიეს.
მოკლე ხანში ღვედარიანმა შეიტყო ვინც
იყენენ ქურდები. მოიყარეს თავი ღვედ-
არიანის სიძის ძმებმა, შარვაშიძეებმა, და დაც-
ნენ ერთს იმ ს. მთ ქურდთაგანს, სახელდობ
შურებიანს, რომელიც ამ დროს წისქვილში
იყო თავისის ძმით. დაიჭირეს საწყალი შუ-
რებიანი, შეკრეს, ჯვრით შეკრული ცეც-
ხლში ჩაგდეს და შემდეგ სცემეს ძრიელ;
რაც რამ წიფთები ჰქონდა, სულ წაართვეს,
მაგ. თოფა, ხანჯალში, თოკები და სხვ. ამ
გვარად დატყვევებული წაიყვანეს; მისი ძმა
კი თოკით წისქვილის ბოძს მიაკრეს და ამ-
ნაირს მდგომარეობაში დატოვეს; პური რაც
იყო დაუფქვავი, წყალში გალუქარეს და დაფ-
ქულს ქვიშა აურიეს.

როცა ის დატყვევებული მიჰყავდნენ შარ-
ვაშიძეებს, მათ წინ, შეზღვევარათ იმ შურე-
ბიანის მამა და როგორც იყო თავისი შეი-
ლი გააშვიბინა, მაგრამ ვაი იმისთანა შეი-
ლის განთავისუფლებას: ამდენი მოხდა, რომ
თვითონაც ძლიერ ცოცხალი დარჩა. მაგრამ
შურებიანებს მხოლოდ წიფთების წართმევა
და გალახვა არ დაჯერეს: ვინ იცის, რამ-
დენჯერ დაცნენ მათ შარვაშიძეები და
ყოველს დაცემაზედ სტარცევდნენ.

მრთველ ორივე მხრის დედაკაცები შეი-
ყარნენ ერთათ და ღაზთიანი ჩხუბი გამარ-
თეს. იმისთანა წიფა-გლეჯა შეიქნა თმებისა,
რომ თითქოს თოკებსა სწევინო; ერთმა
კბენა დაიწყო, მეორემ დანა ამოიღო და
მზათ იყო დანა ეკრა მუცელში, მაგრამ ამ
დროს მიუსწრეს და გააშველეს; გაჩნდნენ
მათი შეილები ხელში თოფებით და უარე-
სი ჩხუბი შეიქნა. შურებიანს ცხლა უნდო-
და ამოეყარა ჯავრი თავის გამლახველებზედ;
მისმა თოფის ხმამ ყველას აცნობა, რომ
გადოუნდა შარვაშიძეს თავისი მხეცური ვა-
ლი. თოფი მოხდა თემში და თუმცა ცო-
ტათი იყო დაჭრილი, მაგრამ სისხლის დნა
ვერ შესწყვიტეს და ხუთს მინუტში სული
გასძვრა. ის იყო მულახის და მუქალის სა-
ზოგადოებების მამასახლისის შვილი.

ამის შემდეგ შურებიანებს აღარ მოუს-
ვენიათ: როგორც დადამდებოდნენ, შარვაში-
ძეები მიადგებოდნენ იმათა და კარში არ უშ-
ვებდნენ: არც წყალზედ, არც შემაზედ და
არც სხეაგან; იმნაირს შიშ ქვეშ იყენენ შუ-
რებიანები, რომ სინათლეში ღავე პურის
ქამას ვერ ახერხებდნენ. შარვაშიძეები დღით
მასობელ ტყეში იყენენ დამალულნი. ისე
გავიდა მთელი გაზაფხული, რომ შურებიან-
ებს არა მოუხნაეთ რა და არც გაუთიბათ;
რაც ძველი ნამუშაური ჰქონდათ დარჩინო-
ლი, სულ შემოაკლდათ და აღარაფერი არ
ეგადათ სასმელ-საჭმელად. რაც ადგილები
ჰქონდათ, სულ ნახევარ-ნახევარ ფასად ჰყი-
დიდნენ და რაც საქონელი ჰყავდათ, დაკ-
ლეს; რაც დასაფქვავი პური ან ქერი ჰქონ-
დათ, რადგანაც დაუქვა ვერ მოახერხეს,
ხარშდნენ მარცვლათ და ისე სჭამდნენ.
მრთველ ერთი უღელი ხარი წაართვეს; მეო-
რეთ ორი ძროხა, მესამეთ ხარს მოახვედ-
რეს თოფი; და მეოთხეთაც კიდევ ძროხას.

ბოლოს შურებიანებმა მსეთში გაპარვა
მოინდომეს, მაგრამ ესეც გაიგეს შარვაში-
ძეებმა და ყარაულთა დაუწყეს და ეს გზაც
მოუსწვენ. უკანასკნელ დროს-ძიებას მიუბ-
რუნდნენ—ციხის წვერზედ ავიდნენ და იქი-
ლამ თავის მტრებს იგერებდნენ.

მრთს ღამეს იმათ რვა კაცი მიადგა, რო-

მულთაც წინ მოუძღოდა მულახის საზოგა-
დობის მამასახლი; შურებიანებმა ციხი-
დან დაინახეს და თოფის სროლა დაუწყეს.
მეორეს დღეს შერვაშიძეებმა შურებიანების
მეზობელს ერთი უღელი კარგი ხარი მოს-
ტაცეს, რომელიც მაშინვე გაყიდეს. მესამე
დღეს კიდევ ორივე მხარე ერთმანეთს შეებ-
რძობდნენ და გაჩნდა თოფის სროლა; ერთ-
მა შურებიანმა მოკლული შარვაშიძის ძმას
მთარტყა თოფი თითქმის იმავე ადგილას,
რა ადგილსაც იმის ძმას მოხდა. თუმცა ეს
უფრო დაჭრილი იყო თავის ძმაზედ, მაგრამ
უფრო ადვილად შორხა. მკვლელი შურე-
ბიანი მულამ ციხეში იყო და უყარაულებ-
და თავის სახელეულობას.

მთავრობას უნდოდა მისი დაჭერა. მაგრამ
რა ნაირათ უნდა დეჭირნათ: ციხეში ვერა-
ვინ შეუდიოდა, რადგანაც ყველას დახოც-
ვა ადვილად შეეძლო; ან ვინ დაიჭერდა:
მამასახლით ვერ დაიჭერდა, რადგან ის ერთ
უმათერესთაგან როლს თამაშობდა ამ შემ-
თხვევაში; უფლის ნაჩაღნიკი მიადგა ციხეს,
მაგრამ უჯარათ რას უზამდა. შემდეგ სეა-
ნეთის ბრისტაეი ჯორჯაძე ერთი ბატალიო-
ნი ჯარით მიადგა ციხეს. შურებიანმა, რაკი
ჯარი დაინახა, თავის ნებით ჩამოვიდა ცი-
ხიდან და მთავრობის ნებას მიეცა. თუმცა
ის შურებიანი ეხლა მთავრობის ხელშია,
მაგრამ შარვაშიძეები კიდევ მაინც მის სახ-
ლობას ძრიელ ავიწროებენ.

ამისთანა სცენები ხშირად ხდება ხოლმე,
ამ გვარი შემთხვევების გამო, ჩვენს მიყრუე-
ბულს სენათში.

ლ. ლაღანი

რუსეთი

პენზენის გუბერნიის ერობაში მოლაპარა-
კება ყოფილა იმაზე, რომ ვალდებულად
გახდონ ზოგიერთი ისეთი სოფლები, სადაც
უფრო ხშირად იცის სეტყვა, რომ თავიანთი
ყანები საზღვეველ საზოგადოებაში შეი-
ტანონ, ე. ი. ყოველ დათესილ და შემუშა-
ვებულ დღურზე წელიწადში რამდენიმე კა-
პეიკი აძლიონ, იმისთვის რომ, თუ ვინც-
მაც ეს ყანები სეტყვამ გააფუჭა, მაშინ იმის
ფასი საზღვეველ საზოგადოებამ უნდა უზ-
ლოს.

ღვმდლი კანონით შეიძლება, რომე-
ლიმე დანაშაულობისათვის, სხეულის დასჯა
(ე. ი. ჯოხით ცემა) იმ დედა-კაცებისა, რო-
მელთაც ციმბირში ჰგზავნიდნენ. მხლა „მოს-
კოვის უწყებები“ გვაცნობებს, რომ იუსტი-
ციის სამინისტროს ამ კანონის შეცვლის
პროექტი შეუტანია სახელმწიფო რჩევაში;
სხეულის დასჯის მაგიერად, კანონით ამ გვა-
რი დანაშაულებისათვის დადებული იქნება
მარტო ოთახში დამწყვედვა საპრობილეში.

შემოხსენებულივე გაზეთი გეტყობინებს,
რომ ახალ კანონს ამზადებენო, რომლის
ძალითაც ლოთობისათვის განსაკუთრებული
დასჯა და ჯარიმა იქნება დანიშნულიო.

მთი რუსეთის უფლის გლეხებს სათემო
სხდომაზე გადაწყვეტილება დაუდგიათ, რომ
ოც-და-შვიდი სახალხო შკოლა გაეხსნათო.
ზოგიერთს გლეხებს არ ნდომებიათ თურმე
შკოლების გამართვა, მაგრამ მომეტებულ
ნაწილს დაუწყებია, რომ უთუოთ უნდა
გავხსნათო და ამას გარდა ვალდებულებითი

სწავლა უნდა იყოლო, ე. ი. ყ საც ათი წლის
შვილი ყოვლგა და შკოლაში არ შეიყვანს,
იმას ჯარიმა დაედებო.

ამა თანავე ამ უფლისავე ზოგიერთ მცხოვ-
რებლებს გარდაწყვეტილება შეუდგენიათ,
რომ ჩვენს სოფელში სამიკოტონს გახსნის
ნება არავის მიეცეთო.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი

რესპუბლიკას კიდევ ერთხელ გაუმარჯე-
ნია საზრანგეთში. 18 ოქტომბრის კენჭის
ყრასზედ დემუტატის ასარჩევად, ნაციონალურ
კრებაში, ხალხს მიუტცია უპირატესობა რეს-
პუბლიკელი კანდიდატებისათვის: მერსალში
ალურჩევიათ სენარი, ბონაპარტიელი თავადი
პალუანის მოპირდაპირე, ნიცაში-მედესენი
და შარი, რომელნიც აგრეთვე მონარხის
მოწინააღმდეგე არიან.

— პადეკატეს დეპარტამენტში დემუტატო-
ბაზედ სამი კანდიდატი გამოაულა: ბონაპარ-
ტისტი, ლეგეტიმისტი და რესპუბლიკელი.
მართებლობების პარტია, ისე დარცხენილია
თურმე უკანასკნელი დამარცხებით კენჭის ყრ-
აზედ, რომ თავის კანდიდატის გამოყვანა ველარ
გაუბედნია აქ და ისევე რესპუბლიკელ კან-
დიდატს ექომაგება, რომელიც ამბობენ რუს-
ლად არ საჭიროებს სხვა პარტიის დახმა-
რებას.

მსპანია

ბაზეთები გეცნობებენ, რომ ღონ-ძარ-
ლოსის საქმე უკანასკნელ დროს ცუდათ
მიდისო; აჯანყებულები თითქო დარწმუნე-
ბულან, რომ ისინი ეგრას გაარიგებენ; ღონ-
ძარლოსის ჯარს რამდენჯერმე განუცხადე-
ბია ომინარობის მოპობის სურვილი. ამას
წინათ ერთს რესპუბლიკური მმართველობის
დღენარალთან შეიძმეტი ღონ-ძარლოსის ჯა-
რის აფიცარი მისულა და უთხოვინათ, გვა-
პატიეთ და თოფიარ-ღზე ხელს ვიღებთო;
იმათი მაგალითით ბევრი გაქცეულან აჯან-
ყებულების ჯარადმ, და სერანანს მართე-
ბლობას იმედი აქეს, რომ ღონ-ძარლოსის
მომხრეებს მალე დაიმორჩილებს და ამნაი-
რად დიდი ხნით აღშფოთებულ მსპანიას
დაამშვიდებს.

ინგლისი

ინგლისის ერთს პატარა ქალაქში, ჩელსში,
ამ თვის დამდეგს კრება (მიტინგი) ყოფი-
ლა იმ ხალხთა-შორის საზოგადოებისა, რო-
მელსაც მიზნად აქეს, რომ ყველა სრულ-
წლოენ ორივე სქესის მოქალაქეებს აღმო-
ჩრევითი უფლება მიანიჭოს. ამ კონგრესზე
სხვათა შორის, ერთს ინგლისელ პროფეს-
სორს, ბისლიეს, მკერ-მეტყველური სიტ-
ყვა წარმოუთქვამს, რომელშიაც ამტკიცებდა,
რომ ბუნებითი და კაცობრიული კანონის
ძალით ქალსაც ის აღმორჩევითი და სხვა
უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული, რომე-
ლიც კაცებსა აქეთო; ამას საპარტიონობა
და კაცობრიობის სარგებლობა თხოულობ-
სო და სხ.

ამერიკის შტატები

მხლანდელმა ამერიკის შეერთებული შტა-
ტების პრეზიდენტმა—ზრანტა—შელის მი-
ნისტრის პირით გამოაცხადა, რომ ის შე-
მედ აღარ იყრის კენჭს პრეზიდენტობაზე.

სამართალი

ბრინასისა და იაბლოჩინის საქმე

16 ამ თვეს მომრიგებელმა მსაჯულმა
მენაგულთვამა გარჩია თეატრის თეატრის
არტისტის საჩივარი, აქაური თეატრის მოი-
ჯარადრე იაბლოჩინზე. შ. ბრინასკი აბრა-
ლედდა უ. იაბლოჩინის კონტრაქტის დარ-
ღვევას, და თხოულობდა ჯარიმის გადა-
ხდევინებას.

თეატრის თეატრის გამგებელის მხრით
წარმოსდგა უ. ამატური, რომელიც ამტი-
ცებდა, რომ არა თუ ჩემმა მარწმუნებელმა
დაარღვია კონტრაქტი ბრინასის დათხო-
ვით აქტიორობისაგან, არამედ თითონ მომ-
ჩივანი დამნაშავეა კონტრაქტის შეუკრულე-
ბლობაზედა და ითხოვა გადახდევინონ
იაბლოჩინის სასარგებლოთ ბრინასის 640
მანეთი ანგარიშით. მოსამართლემ გადაწყვი-
ტა, რომ საქმე შემდეგ სხდომისათვის უნ-
და გადაადგეს და მაშინ მოწმებს უნდა ჰყი-
თხონ.

ამ პრაქცესზე გამოჩნდა ერთი ახირებული
საქმე: მაგალითად, ორს რუსულ წარმოდგი-
ნებას შემოუტანია შემოსავალი შეიდი მა-
ნეთი, ე. ი. თითო წარმოდგენაზედ მოდის
სამ მანეთ ნახევარი!

თუ კი რამე დასკვნის გამოყვანა შეიძლება რო-
მელიმე მოვლენისაგან, მაშინ ჩვენ ვიტყვით,
რომ ეს გულ გრილობა აქაური საზოგადო-
ებისა რუსული თეატრისადმი (მეტი გულ-
გრილობა რა-ღ იქნება ერთი წარმოდგენა
აძლევს 3 1/2 მანეთს!) ნათლათ გვიძტოცებს,
რომ ქართველ ქალაქს, ქართულათ მოლა-
პარაკე საზოგადოებას სწყურან გასაგებ
ენაზედ თეატრი, მისი ცნობერებიდან სურა-
თები, ნაცნობი და მისახვედრა მხიარულების
და მწუხარების გამოყვანა სცენაზედ. მაგ-
რამ ამ ნაირი კაცი ვერ რომ არ გაგვიჩნდა!
რომ არა გაეწყო რა ქართული ტრუჰპის
დაარსება!

„დროების“ ენაზედ დაუბოლოებელ
კრიტიკას ისა არა სჯობია, რომ ამ საპატიო
ხალხმა თეატრის საქმეს მოჰკიდოს ხელი და
სცენიდან მაინც გაგაგონონ საზოგადოებას,
თუ აზრი არა, ენა მაინცა!

წასულ ორშაბათს მომრიგებელ მოსამარ-
თლე მენაგულთთან „საკვაზის“ რედაქტო-
რისა და ერთი იმის თანამშრომელი—ჭელი-
ცინის საქმე იყო. ჭელიცინი უჩიოდა უფ.
სტალინსკის (გაზეთის „საკვაზის“ რედაქ-
ტორს), რომ სტატეებისა თუ კორრესპონ-
დენტების წერისათვის ფულის მიცემას დამ-
პარდაო და ღვემდი არ იძლევაო, მოსამარ-
თლემ გადაწყვიტა, რომ უფ. სტალინსკის,
ჭელიცინის სასარგებლოდ, 201 მანეთი უნ-
და გადახდესო.

სამართალის სხობრებიდან

X
მამაცნი ახალციხელნი
შალვა და ივანე

1223 წელს, თამარ დედოფლის შეილის
ლაშა-მოიარის სიკვდილის შემდეგ, მეფედ
გახდა ამისი დაი რუსულანი. მოას გმეცი თ
ამის მეფობის დროს საქართველოს ძა-
ლიან გაუმრავლდნენ მტრები. აღმოსავლე-
თიდგან ჩინგის-ყენი მონგოლებით მოაწეა
ხვარაზმის სამეფოს და ამისი მალალი და სა-



ხელოვანი ხელწიფე ჯალალ-მდინი რამდენ-ჯერმე დაამარცხა. ამისა გამო ეს ხელწიფე ვეღარ დადგა თავის სამეფოში და წამოვიდა საქართველოსკენ. ამას უკან გამოჰყვა 150 ათასი მეომარი კაცი. ივანე ათაბაგმა და მარამ ბოგელომა შეიტყეს თუ არა ამ ხერახზმის სულთნის ჯალალ-მდინის მოსვლა; მაშინვე შეატყობინეს რუსულანსა. რუსულანმა დაუყოვნებლივ გამოიწვია ამერიისა და იმერის ჯარები; გამოილა დროშა სეფე; დაუყენა სპასალარად ივანე ათაბაგი და გაგზავნა ჯალალ-მდინთან საომრად.

მართველებსა და ჯალალ-მდინის ჯარები შეიყარნენ და დაუდგნენ ერთმანერთს პირისპირ. ივანე ათაბაგმა ორად გააყო ჯარები: ერთი პირდაპირ უნდა ჰტაკებოდა მტერს, მეორეს გვერდზე უნდა მოეკრა. უკანა ჯარში უფროსი ივანე ათაბაგი იყო. რადგან ძველადანვე ეკუთვნოდათ, სამხედრო წესისამებრ, წინა-მებრძოლობა ახალციხელებს, ამისათვის ჯარის წინამძღოლად ორნი მხანი ლომებივით ახალციხელი იყო: შალვა და ივანე.

შალვამ და ივანემ მაშინვე მიჰმართეს მტერს და წინ გაეწევენ საომრად. პირობა იყო, რომ მოწინავე ჯარი როგორც კი დაიწყებდა ომს, ივანე ათაბაგმა მაშინვე უნდა მოშველებოდა; მაგრამ ათაბაგს შალვა და ივანეს მტერობა ჰქონდა, და ამისთვის შეფერხდა. სულთანის ჯარები ბევრი იყო, ამისთვის წინა მებრძოლებმა შალვამ და ივანემ სამჯერ ათაბაგს მიუგზავნეს კაცი და უთხრეს:

„სახლოვებულ ვართ სულთანსა და სპათამისთა და ჩვენ დიდად უმეტივს ვართ, და ომა ძლიერი წინ გვიდს. წარმოვიძღოთ მხნეთა სპათა მეფისათა და სიმხნემან შენმან,“ და ამ დროს ჩვენ დაიწყებთ ომსაო.

ჯარები ერთმანერთს უახლოვდებოდნენ; მაგრამ ივანე ათაბაგი შალვას პასუხს არ აძლევდა. შალვამ, ივანემ და წინა მებრძოლმა თორელებმა, რადგან სახელ-განთქმულნი მეომარი მხედარნი იყვნენ, უკან დაბრუნება აღარ იკადრეს: მოასხდნენ ცხენებს, მისძახეს მთელს თავის ჯარებს და ისრე ძლიერ ეტაკნენ მტერს, რომ პირველშივე ბღღერი ადინეს. ძლიერად მბრძოლობდა შალვა და ივანე, ახოვანთა და ძლიერთა სრულეს, აშობს „მართლის ცხოვრება.“ ათაბაგის ჯიბრზე იმით უნდოდათ მაინც და მაინც მტერი დაემარცხებინათ; ამისათვის ისინი არა ზოგადდნენ თავს: შეცვივდნენ ცხენებით ორნივე ძმები ჯალალ-მდინის ჯარებში და როგორც რომ კატა თავგებს, ისრე დაერივნენ, და მტერი მიწვე-მოწვეს; იმათ მამასურად მისდევდნენ და იბრძოდნენ სხვა ქართველებიცა.

მტერი უყურებდა მხნე და ვაჟკაც ქართველებს და უკვირდა მათი გმირობა. თორელებმა არ დაზოგეს თავები, და ამისთვის მათგან ბევრი ამოსწყდა; მაგრამ იმდენი შთამომავლობისაგან ხსოვნა იმათ ჰქონდეთ, რამდენიც იმათ ამ დროს მტერს აუტირეს დედა, გაუნებთქეს თავი, რისხვა ლეთისა დაყენეს და ჩაუდგეს გულში შიშის თრთოლა. თუმცა მამულის სიყვარულით იმათ თავისი წმინდა სისხლი დაღვარეს, მაგრამ მტერს აგრძობდნენ ქართველი ხმლის სიქველეს და პატივი.

მტერმა თითქმის უკან დაიხივა. შალვა და ივანე მაინცა და მაინც არ შეჩერდნენ, დაკვიდნენ მტერს და სასიკვდილეს ბასრს შოლტას უტყამდნენ ცხვირპირში. მაგრამ ამ დროს უცერად ორივე ძმებს ცხენები

დაუხოცეს და ისინი, თუმცა დაქვევითდნენ, მაგრამ მტერს მაინც არ მოშორდნენ: ძლიერად იბრძოდეს და მოსრიდეს. მტერი რომ წინ გაიგდეს, ქართველები უფრო და უფრო წაქეზდნენ, მხნეობამ დაივიწყათ შიში და კეთილ-გონიერება; და როცა ომი უფრო და უფრო ძლიერდა, მხალნიცა ახალციხელთანი გატუდეს ჩაბალახსა ზედა. მაშინ ქართველებმა უკან დაიწვიეს. შალვას ფრთხილ უმარავლესი მტერი გარს შემოერტყა და დაიჭირეს; ივანე კი ბარისის კლდეში შევიდა; მაგრამ, მტერმა ქვა აუგორა და შენა-კერძო მოტყვეულოთა ქვითა მუნ მოიკლა.

ამ დროს უგუნურმა ივანე ათაბაგმა შეიკავა სპანი ქართველთა რომელიც ხედვიდს ძლიერსა ომსა და არ შეიწყალებდეს თანა-მონათესავეთა. უკერობილი შალვა მდინთან წაიყვანეს. ნახევენელებმა და აღრიბეჯანელებმა ის იცნეს და მოახსენეს სულთანსა ახოვანება და წყაბათა შინა სიქველეს მისი. ჯალალ-მდინს ძლიერ გაუხარდა მისი დაქერა, არ მოჰკლა, შერახა თაფლათვისთა თანა; პატივცა და მიანიჭა ქალაქნი ადარბადაგისანი.

მაგრამ მეორე წელს სულთანმა უთხრა, რომ ქრისტიანობაზე უარი უნდა ჰყო და მაჰმადიანობა მიიღო. შალვამ მამაცურად უთხრა, რომ მე უარს არა ვყოფ ჩემს ქართველობას; სულთანმა ბევრი ჯილდოები დაჰპირდა, მაგრამ შინცა და მაინც არ მიიღო მისი რჩევა. „ქალად სულთანს უქადადა მრავალფერითა სატანჯველითა და აწინებდა, არამედ იგი მტკიცედ ეგო ქართველობასა ზედა.“ ამის შემდეგ მხნე, მამაკი, და მამულის მოყვარე შალვა მოჰკლეს; მაგრამ ქართველებმა არ დაივიწყეს თავისი გმირი მამულის მოყვარე შალვა, რომელმაც სისხლი დაღვარა იმისთვის, რომ არ უნდოდა ქართველობის უარის ყოფა, იყო ერთგული ძმა, ხალხის გულშემატკივარი და ბედნიერების მსურველი, ხალხისთვის თავდაპდები.

ამ გეარ ხალხის სიყვარულითა და ქართველობისთვის თავ-შეწირვისა გამო, მემართანემ ის წმინდად შერაცხა, რომ რა პრის იმის ძლიერს სულს ხალხი მოიგონებდეს და მის მაგალითით გამხნევდებოდეს თავის მამულის მოყვარეობაში; აგრეთვე იყო სახელი მისი დაუვიწყარ შთამომავლობისათვის და ხალხის პირში დამესხიერებაში ნეტარი უკუნითი უკუნისამდე, და წყველი იმათი სახელი და ხანება, რომელიც მტერობისა და თავმოყვარეობისაგამო, იფიწყებენ საზოგადო სარგებლობას, ღალატობით სპობენ მამულის მოყვარე შალვასავით უმეტიფასეს გმირების სიკაცსებს.

ბედნიერი და ნეტარია ის კაცი, ვისაც შალვასავით სახელოვანი სიკვდილი შეხვედება მამულისათვის, იქნება შთამომავლობისაგან დაუვიწყარი და იქნება ქველური იმისთანა ისტორიკოსისაგან, როგორც არის შოლასერი. მე—VII ტომში თავის ისტორიის 214 კაბადონზე ის ამბობს: „ჯალალ-მდინმა დააპყრა აღირბევიანი და მამაკი ქრისტიანებით დასახლებული საქართველო და ქართველების დამარცხებით მიიღო განუხსადრეული ქება თავის თანამორწმუნეებისაგან.“

ის სიტყვები ეკუთვნის 1225 წლის ქართველებს, როცა იმას პირველად შალვასთან საქართველოში ომი მოუხდა და როცა შალვამ თავი ისახელა.

ნაკვეთი

ამერიკის ერთს ქალაქში ერთი ვიღაც კაცი მომკვდა და თავის შემოქმედა თავის სამშობლო ქალაქისთვის უანდებდა, რომ პირაპირა, რომ ქალაქმა მხოლოდ ასი წლის შემდეგ ისარგებლოს იმის ნაწილი.

ქისტის უანდებდა, რომ პირაპირა, რომ ქალაქმა მხოლოდ ასი წლის შემდეგ ისარგებლოს იმის ნაწილი. მს ფულები (სულ სამ მილიონამდე) სახლობო შოკლებსა და სხვა საზოგადო საქმეებისთვის უნდა დაიხარჯოს.

პარიჟის პოლიციას ერთი ისეთი მაღაზისთვის მიუგნო, სადაც სიყვარულის ჯაღას ჰყიდებენ. ამ ჯაღას, როგორც იმობენ, ყველაზე უფრო ხშირად მაღალი წოდების ქალები ჰყიდულობდნენ და ხმარობდნენ; საყვარლების დასატყუარად. თუმცა ექიმების შემოწმებით ეს ჯაღა უბრალო ბალახების წენისაგან შეხდებოდა და სრულებით მანებელი არ არის, მაგრამ პოლიციას მაინც აღუკრძალავს იმის გაჭრაობა, რადგან ტყუილ-უბრალოთ ხალხს ატყუებდნენ.

პარიჟში გადაცალკეულა ერთი გამოჩენილი მოჭრიდავე და მოკრივე, რომელიც თავის სიცოცხლეში 1013 კაცს დასტივდებდა და მხოლოდ 67-ჯერ ყოფილა დამარცხებული.

მტრების ფორტის ხმარება მეროპაში თან-და-თან გრცელდება. უკვე უკეთესი საფორტო მღრელები ნიდერლანდისა და ბელგიის მოადგმის მტრელები არიან; მაგრამ გაუწერთვლად არც ისინი ვარჯან. მტრელების ფრთხი ბევრად უფრო მსწრაფლად მოქმედებს, ვიდრემ ტელეგრაფი, რადესაც მეჩხალში საფორტების ნაციონალური ძარების სხვაობა, თითქმის მუდამ ამ გვარი ფორტი აგხანინან საღამოს გაზუთების რუდექელებში სხდომების ანგარიშს და იმ საღამოსვე ჰქუტავენ. ლონდონიდან პარიჟამდე რკინის გზითა და წყლით 14 საათის სეკია; ამ გზას მტრედი ერთს საათსა და ხუთ მინუტს ვადის პატათა ქალაქით, რომელც ფრთაზე აქვს ხალხე მიკრული.

პრის ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილია, ინგლისის მთავრობას განზრუნა აქვს, ისეთი განკარგულება გამოხედეს, რომ ფეტონებსა და ყველა სხვა ეკიპაჟებს, რომელიც ლონდონის ქუჩებში დაიარებინ, გარგოლაჯებზე რიზინის (კაუჩუკის) ლენტი უნდა ჰქონდეს შემოკრული ხმაურის მოსახმობელათაო.

ერთი ფრანცუზი სტატისტიკოსის გამოანგარიშებით, მთელს დედამიწაზე ცხლა 1,391 მილიონი მცხოვრებია; ამ რიცხვიდან მეროპაში ცხოვრობს—300 მილიონი, აზიაში—798 მილიონი, აფრიკაში—204, ამერიკაში—84 1/2, და ოკეანაში—4 1/2 მილიონი.

რუსულ გაზეთებში შემდეგი ამბავი დაბეჭდილი: ამას წინათ ერთი საპრობილიდამ ვიღაც დამანავე უნდა გამოეყვანათ და ციმბირში გაეგზავნათ. მარაული მოსულა, და გაუღია ამ დატუსაღებულის კარები გამოსაყვანათ. მაგრამ ტუსაღი უარზე დადგარა და თავის ნებით გამოსვლა არ უნდოდა თურმე. ამ დროს საპრობილის ზედამხედველი აფიციერი წასწრებია და რა დაუნახავს ეს ამბავი, სალდათისთვის უბრძანებია, თოფი დაემიწხე და ესროლო. სალდათს აფიციერის ბრძანება მსწრაფლად აუსრულებია. ტუსაღს იქვე იმ წამსვე სული აშობდენია.

სიაშის ორი ტუპი მშენი მოკდნენ, მაგრამ იმათი მკრე ექსპლივარი გამოჩნდა ცხლა: ორნი ერთმანეთზე მიტყუებული დანი—მილილი და ხრისტინა, რომელიც როგორც სიაშის ტუპები, დ იარებინა მეროპის სხვა და სხვა ქალაქებში და თავს უჩვენებენ. ამ ორ დს მხოლოდ გვერდები აქვთ ერთმართზე მიკრული, დანარჩენი სხეულის ნაწილი კი განშორებული აქვთ. საზღვარ გარეთის გაზეთებში ამ ტუპების თობაზე ერთ აზირებულ ამბავს სწერენ: მრთს აზირებულ

მდიდრ ინგლისელს შეუყვარებია მაღალი-ხრისტიანი რომელიც ცხლა ს-ფრანკტონი უთინ და მანცინდ-მაინც ჰსურს თურმე, რომ ისინი ორივე ერთად შეერთოს, რ დგან მათი გაშორება არ შეიძლება. მაგრამ სასამართლო ვერ პხედავს აორთვე ვერ-ვერობით ნება-რთვის მიცემას, რადგან არ გადაუწყვეტიათ: ორ ქალათ უნდა ჩათვალონ ეს ტუპები, თუ ერთად.

განცხადებანი

შმიტარის მაღაზიაში სამშობლოთით და პარასკობით ისუიდება პარაში, თოთხმეტე შეურათ გირვანქა, მოლოვიენსკის პროსპექტზედ, მრბელიანის სახლში.

ჩუღურეთში და დიდუბეში ისუიდება ზომიერ ფასად სამოსახლო ადგილები, რომელიც ეკუთვნის სტატისკის სოვეტნიკის ცოლს მკატერინა ნადიროვიისას. შეუძლიანთ იყიდონ ვისაც რამდენი სურს, შასის შეტყობა ნადიროვის მაღაზიაში, მრეენის მიედანზედ, მამამშოვის ქარეალის პირდაპირ შეიძლება.

ღაბა ზუგდიდში მიიღებოან რეიამ თორმეტის წლის ყმა წვილები, რომელთაც აწხადებენ მისაღებელად პირველს სამს კლასში რეალურს და კლასსიკურს გიმნაზიებში.

მსურველთა შეუძლიანთ მიიქცენ შეულლა მიროვის პოსტენიკისა მ. პ. მათეთა რადისასთან.

სტუდენტი ფიზიკო-მატემატიკურ ფოკულტეტისა და ახალი მასწავლებელი ოიელაჟის სამაზრო სასწავლებლისა—გვართ ლოზინსკი—იყვანს თავისთან ყმაწვილებს მოსამზადებლათ ოთხ მდბალო კლასებში ქლასიკურ გიმნაზიისა, რეალურ და შმანის ხენა-თესვის და ბაღების კეთების სასწავლებლისა.

ბარდა ამისა შეუძლიან აძლიოს გაკვეთილი სადურგლო ხელობისა შეგორდებს, ვისაც კო სურს ამ ხელობის სწავლა. პიღვე ამხადებს ახლოგანდა ორთავე სქესის ყმაწვილებსა შინაურ მასწავლებლათ. იღებს თავისთან მათემატიკის და ნემენკური ენის შემსწავლე ბელ მოსურნე შეგორდებს თვეში თითო სხუთ მანეთათ.

მაცნობებ საზოგადოებას, რომ მე ვსხნი მუთისში ქანტორას, სადაც მიიღება დაწერა და შედგენა, როგორც შეად, აგრეთვე თეთრათ, ყოველ გვარის აძებისა, საჩივრებისა, პასუხებისა და სიგლების პროექტებისა.

მივიღე რა გამოცდილება დიდის ხნის ნამა სახეობით ვითარცა ძველი, ვგრეთვე ახლის საქმეების წარმოებაში და წესებში, მე იმედი მაქვს სინდისისა და დავაკმაყოფილო საქმეების მექონის ხალხის მოთხოვნილება და სურვილი; მიეცე მას დარჩევა და დავაყენო ისეთ სამხელა გაზხედ, რომ ადვოკატი საჭირო აღარ დარჩეს მისთვის და მომეტე-ბუღებს ზარჯს ასცილდეს. შასს შრომისათვის მოვითხოვ ზომიერს.

ქოლ. ას სიმონ ივანეს ძე მესხი.

უგ—ნი ალიხანოვი, მიზანდარი და საგანელი ამ წლის პირველის ოკტომბრიდან მიიწვივენ იმათ, ვისაც სიმღერისა და ფორტეპიანოზედ თამაშის სწავლა სურს, შამას შკოლაში, ქონსულის ქუჩაზედ, მირზოვეის სახლებში, რომელიც წინეთ პრიქანოვეის იყო.

პირობები შეიძლება შეიტყონ დილის ცხრა საათიდან ნამუდღვეის ორ საათამდის, ხანებულს შკოლაში, საცა მსურველება დროზე უნდა ჩაეწერონ.